საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №160

2016 წლის 8 აგვისტო

ქ. თბილისი

არასრულწლოვანსა ან მხარდაჭერის მიმღებზე პასპორტის გაცემაზე თანხმობის ფორმების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის 9^1 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) არასრულწლოვანზე ან მხარდაჭერის მიმღებზე პასპორტის გაცემაზე, შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლების ან მხარდამჭერის მიერ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი პირის ან საკონსულო თანამდებობის პირის თანდასწრებით გამოხატული წერილობითი თანხმობის ფორმა – დანართი №1;

ბ) არასრულწლოვანზე ან მხარდაჭერის მიმღებზე პასპორტის გაცემაზე, შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლების ან მხარდამჭერის მიერ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი პირის წინაშე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გამოხატული თანხმობის ფორმა – დანართი №2.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**